საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1272 2024 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 18 მარტის №395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 18 მარტის №395 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გელათის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო, სარეკონსტრუქციო და საკონსერვაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის

სფეროში მოქმედ სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გამოუყოს 11 500 000.0 (თერთმეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი.

2. დაევალოს სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (მიმღების დასახელება: გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი) 11 500 000.0 (თერთმეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის გადარიცხვა ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამ განკარგულების პირველი პუნქტის მიზნებისთვის, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის გასაზრდელად საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესაბამისი რესურსის მოძიება.“.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე